თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2015 წლის 29 მაისის სხდომის ოქმი #5

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი თემურ ბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 21, სტუდენტები – 7, სულ –28 წევრი.

დღის წესრიგი

1.ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის დანართისთვის სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება.

/დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/

2.თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე კურსდამთავრებულთათვის ხარისხების მინიჭების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

4.თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე კურსდამთავრებულთათვის ხარისხის კორექტირების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

5.თსუ ქუთაისის სასწავლო ცენტრის პროფესიული საგანმანათლელო პროგრამების „აგროლოჯისტიკის ოპერატორი“ (მე–4 და მე–5 საფეხური) დამტკიცების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

6.თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სადოქტორო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის დამტკიცების შესახებ

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მ. ლობჟანიძე/

7.მიმდინარე საკითხები

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფ. თ. ბერიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 28
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 29 მაისის #5 სხდომის დღის წესრიგი

მოისმინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის დანართისთვის სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება.

/დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/

საკითხის დეტალური აღწერილობა: 1992 წელს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის მრეწველობის დაგეგმვის (დღე, საღამო, დაუსწრებელი) და სოფლის მეურნეობის დაგეგმვის (დღე, დაუსწრებელი) სპეციალობების კურსდამთავრებულთა, 1998 წელს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის მაკრო-ეკონომიკის (დღე), წარმოების ეკონომიკა და მართვა მრეწველობაში (დღე - ფასიანი და უფასო), წარმოების ეკონომიკა და მართვა აგროსამრეწველო კომპლექსში (დღე), შრომის ეკონომიკის (დღე) და ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის (დღე) სპეციალობების კურსდამთავრებულთა, 2000 წელს ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მაგისტრატურაში მარკეტინგის სპეციალობის კურსდამთავრებულ ეკატერინე გაჩეჩილაძის, თსუ ყოფილი ფოთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის საბაჟო საქმიანობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის 2004 წლის კურსდამთავრებულ ვალერი ნაროუშვილის და 2004 წელს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის სტატისტიკის (საბიუჯეტო განყოფილება), მაკროეკონომიკის (საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო განყოფილება) და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების (საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო განყოფილება) სპეციალობების კურსდამთავრებულთა დიპლომის დანართის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების – ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ.

მომხსენებელმა ქალბატონმა მ. ჩავლეიშვილმა საბჭოს მოასხსენა, რომ უნივერსიტეტს დიპლომების შეცვლის თაობაზე განცხადებით მომართა 1992 წელს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის სოფლის მეურნეობის დაგეგმვის სპეციალობის კურსდამთავრებულ ***ოთარ ყავრელიშვილმა,*** *1998 წელს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის სპეციალობის კურსდამთავრებულ* ***თეიმურ გარაევმა****, 2000 წელს ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მაგირტრატურაში მარკეტინგის სპეციალობის კურსდამთავრებულ* ***ეკატერინე გაჩეჩილაძემ****, 2004 წელს თსუ ყოფილი ფოთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის საბაჟო საქმიანობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის*

*კურსდამთავრებულ **ვალერი ნაროუშვილმა** და 2004 წელს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის კურსდამთავრებულ **ლევან ჭითანავამ**.*

აღნიშნულიდან გამომდინარე, ოთარ ყავრელიშვილის, თეიმურ გარაევის, ეკატერინე გაჩეჩილაძის, ვალერი ნაროუშვილის და ლევან ჭითანავას სახელზე უნდა გაიცეს ახალი დიპლომები, რომელებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივნისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებენ ჩარიცხვის ბრძანებისა და აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. ამასთან დაკავშირებით, თსუ იურიდიული დეპარტამენტის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებულო აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შექმნილმა მუდმივმოქმედმა კომისიამ ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და საარქივო მასალების საფუძველზე დაადგინა:

1. ***ოთარ გიორგის ძე ყავრელიშვილი** 1974 წელს ჩაირიცხა თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საღამოს სწავლების მათემატიკის სპეციალობაზე (ბრძანება №4/608, 24.08.1974). მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1980 წლის 27 ივნისის სხდომის გადაწყვეტილებით საღამოს განყოფილების კურსდამთავრებულ ო. ყავრელიშვილს მიენიჭა კვალიფიკაცია მათემატიკოსი, მასწავლებელი, მათემატიკის სპეციალობით და მიიღო დიპლომი №180055, სარეგისტრაციო №01/313 (ბრძანება №4/378, 15.07.1980).*

1981 წელს ოთარ გიორგის ძე ყავრელიშვილი მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების პოლიტეკონომიის სპეციალობაზე (ბრძანება №4/474, 25.08.1981).

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის პოლიტეკონომიის სპეციალობის დღის სწავლების II კურსის სტუდენტს ო. ყავრელიშვილს 1983 წლის 1 ოქტომბრიდან 1984 წლის 1 სექტემბრამდე ავადმყოფობის გამო მიეცა აკადემიური შვებულება (ბრძანება №4/924, 17.X.1983), ხოლო 1984 წლის 1 სექტემბრიდან ჩაითვალა აკადემიური შვებულებიდან დაბრუნებულად (ბრძანება №4/524, 23.07.1984).

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის პოლიტიკური ეკონომიის დღის სწავლების III კურსის სტუდენტს ო. ყავრელიშვილს ავადმყოფობის გამო 1986 წლის 6 დეკემბრიდან ერთი წლის ვადით კვლავ მიეცა აკადემიური შვებულება (ბრძანება №4/3023, $1, 15.12.1986), ხოლო 1987 წლის 1 სექტემბრიდან ჩაითვალა აკადემიური შვებულებიდან დაბრუნებულად (ბრძანება №4/1016, 12.10.1987).

ეკონომიკის ფაკულტეტის პოლიტიკური ეკონომიის სპეციალობის დღის სწავლების მეორე კურსელი ოთარ გიორგის ძე ყავრელიშვილი 1987 წელს გადაყვანილ იქნა ამავე ფაკულტეტის სოფლის მეურნეობის დაგეგმვის სპეციალობის დაუსწრებელი სწავლების II კურსზე (ბრძანება №4/3139, $3, 11.12.1987). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი. 1987 წელს ოთარ გიორგის ძე ყავრელიშვილი იყო ეკონომიკის ფაკულტეტის პოლიტეკონომიის სპეციალობის დღის სწავლების არა II კურსის, არამედ III კურსის სტუდენტი.

ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1992 წლის 22 ივნისის სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი უნომროა) დაუსწრებელი განყოფილების 1991 წლის კურსდამთავრებულ ო. ყავრელიშვილს მიენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობის დაგეგმვის სპეციალობით და მიიღო დიპლომი წარჩინებითი УВ№966419, სარეგისტრაციო №01/315 (ბრძანება №4/580, 24.08.1992).

ფაკულტეტმა თსუ არქივიდან დამატებით მოითხოვა 1991-1992 სასწავლო წელს ეკონომიკის ფაკულტეტის მიერ წარმოებული სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები. არქივიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 1992 წელს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტზე ოთხი სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებულია დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების სხვადასხვა სპეციალობების 21 ოქმი. ყველა ოქმზე მითითებულია თარიღი, მაგრამ ოქმები უნომროა.

***<u>პირველი</u>** კომისიის (თავმჯდომარე: ა. ჯანჯღავა; წევრები: გ. ადეიშვილი, ვ. ბადრიძე, ბ. გაბიძაშვილი, პ. ლემონჯავა, მ. ტურავა) მიერ 1992 წლის 16 ივნისს წარმოებულია 2 ოქმი და ორივე ოქმი უნომროა.*

<u>მეორე</u> *კომისიის (თავმჯდომარე: გ. ერქომაიშვილი; წევრები: ნ. ბაგრატიონი, ვ. ჩანტლაძე; კ. გიგაშვილი) მიერ 1992 წლის 23 ივნისს წარმოებულია 1, ხოლო 24 ივნისს კი 5 ოქმი. წარმოდგენილ ოქმებს არ აქვთ მინიჭებული ნომრები.*

<u>მესამე</u> *კომისიის (თავმჯდომარე: ვ.ი. დათუკიშვილი; წევრები: თ.ა. ჭიაბრიშვილი, ე. მექვაბიშვილი; მ. ვ. ტუხაშვილი) მიერ 1992 წლის 26 ივნისს წარმოებულია 7 ოქმი. არც ერთ ოქმს არ აქვს მინიჭებული ნომრები.*

<u>მეოთხე</u> *კომისიის (თავმჯდომარე: ვ.რ. ახალაია; წევრები: ო.ნ. საღარეიშვილი, მ.ვ. გოცირიძე, ი.ი. გიგოშვილი, ჰ.შ. ყარაშვილი) მიერ წარმოებულია 6 ოქმი - 1992 წლის 14 ივნისს, 15 ივნისს, 18 ივნისს, 19 ივნისს, 22 ივნისს და 23 ივნისს თითო ოქმი. არც ერთ ოქმს არ აქვს ნომერი.*

*როგორც წარმოდგენილი მასალიდან ირკვევა, თითოეული კომისიის მიერ წარმოებული ოქმების დანომვრა ხდებოდა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად თარიღების მიხედვით. თუ კომისია ერთი და იმავე თარიღით აწარმოებდა რამოდენიმე ოქმს, მაშინ მხედველობაში იღებდნენ სხვა მონაცემებსაც. ამჟამად, ჩვენ განვიხილავთ, მხოლოდ მეოთხე კომისიის მიერ წარმოებულ უნომრო ოქმებს. კომისიის მიერ უნდა მოხდეს ამ უნომრო ოქმებისთვის (გადაწყვეტილებებისთვის) ნომრების მინიჭება და ნომრის პირობითობის აღსანიშნავად ასო **„პ“**-ს დამატება.*

2. ***თემურ კარაევი ხასმამედას ძე (შემდგომში თეიმურ გარაევი)*** *1994 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგილო აბიტურიენტების გასაუბრების წარმატებით გავლის შედეგად და მოსამზადებელი განყოფილების წარდგინების საფუძველზე ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაკროეკონომიკის სპეციალობაზე (საქართველოს განათლების მინისტრის ბრძანება №266, 29.07.1994).*

თსუ საარქივო მასალებში ეკონომიკის ფაკულტეტის 1998 წლის კურსდამთავრებულთა პირად საქმეებში მოიძებნა პირადი საქმე №17753, რომლის თავფურცელზეც გაკეთებულია წარწერა ,,გარაევი თემურ ხასმამედას ძე.“ საქმეში არსებულ სტუდენტის სასწავლო ბარათსა და დიპლომის დანართზე ფიქსირდება თემურ გარაევის სახელი. თუმცა, დიპლომის დანართზე ასო ,,გ“ შესწორებულია. ამავე საქმეში არის თემურ კარაევის სახელზე 1994 წლის 7 ივნისს შევსებული გასაუბრების ფურცელი. საარქივო ცნობებში წარმოდგენილ ,,რუსული ენის“ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი წარმოებულია ,,თემურ კარაევის“, ხოლო ,,მაკროეკონომიკის“ სახელმწიფო საგამოცდო სხდომის ოქმი ,,კარაევი თემურ ხასმამედის ძის“ სახელით.

ეკონომიკის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის სპეციალობაში 1998 წლის 13 ივლისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელ სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი უნომროა) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წინაშე სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების საფუძველზე თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების მაკროეკონომიკის სპეციალობის კურსდამთავრებულ თემურ კარაევს მიენიჭა

ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი (ეკონომიკის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის სპეციალობაში 1998 წლის 13 ივლისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი და თსუ რექტორის ბრძანება №4/526, 17.07.1998 წ.). დიპლომების სარეგისტრაციო ჟურნალში ბაკალავრის დიპლომი (B№01036) რეგისტრირებულია თემურ კარაევის სახელზე.

თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა ჯერ კიდევ 2014 წლის 23 აპრილს, მოქალაქე რაულ ნატროშვილის განცხადების საფუძველზე, მოითხოვა სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2014 წლის №55/01-01 ბრძანების შესაბამისად თეიმურ გარაევის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა. იმ პერიოდში ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტმა ვერ შეძლო თემურ გარაევის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა და დიპლომის დანართის მომზადება. აღნიშნულის შესახებ კი წერილობით ეცნობა თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტს.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2015 წლის 23 მარტის №384/01-04 ბრძანებით შევიდა ცვლილება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის 1998 წლის კურსდამთავრებულ თემურ(ი) ხასმამედას ძე კარაევის სახელზე უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ (შექმნილ) ყველა ოფიციალურ დოკუმენტში სახელში, მამის სახელში და გვარში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გამო და თემურ(ი) ხასმამედას ძე კარაევის მიმართ უნივერისტეტის მიერ გამოცემული (შექმნილი) ყველა არსებული ოფიციალური დოკუმენტი გამოცემულად ჩაითვალოს თეიმურ ხასმამედის ძე გარაევის მიმართ და თეიმურ ხასმამედის ძე გარაევი მიჩნეული იქნეს ამ დოკუმენტებით მოწესრიგებული სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილედ. როგორც ბრძანების შინაარსიდან ირკვევა მისი საფუძველია:

- *ეკონომიკის ფაკულტეტის 1998 წლის კურსდამთავრებულ თეიმურ ხასმამედის ძე გარაევის 2015 წლის 10 მარტის №9444/02 განცხადება, რომლითაც მოითხოვა 1998 წელს თემურ კარაევის სახელზე გაცემულ დიპლომში გვარში და სახელში დაშვებული შეცდომის ჩასწორება;*
- *განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ნოტარიულად დამოწმებული და ნათარგმნი დოკუმენტები – პასპორტი (#72 4711408, 06.05.2013), დაბადების მოწმობა (IV-ЖГ№323426, 20.04.1976) და საშუალო განათლების ატესტატი (A№12422).*

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 6 აპრილის №347 ბრძანებით გასწორდა დაშვებული ტექნიკური შეცდომა `საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 27 სექტემბრის №719 დადგენილებისა და რესპუბლიკის განათლების სამინისტროს 1993 წლის 4 ოქტომბრის №315 ბრძანების შესრულების მიზნით~ საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს 1994 წლის 29 ივლისის №266 ბრძანებაში და ბრძანების დანართი №1-ის განსაზღვრული, თბილისის ივანე

ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მაკროეკონომიკის ფაკულტეტზე ჩარიცხულ პირთა სიის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: «2. გარაევი თეიმურ ხასმამედის ძე». (ბრძანების საფუძველი: სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2015 წლის 23 მარტის №543/01-01-03-40 მიმართვა).

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტმა დამატებით თსუ-ს არქივიდან მოიძია 1997-1998 სასწავლო წელს ეკონომიკის ფაკულტეტის მიერ წარმოებული სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმები. წარმოდგენილი საარქივო მასალიდან ჩანს, რომ 1998 წელს ეკონომიკის ფაკულტეტზე წარმოებულია 50 ოქმი. ამავე წელს ეკონომიკის ფაკულტეტზე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის სხვა ოქმები არ იძებნება. ყველა ოქმზე მითითებულია თარიღი, ხოლო ოქმის ნომრები დაფიქსირებულია 24 ოქმზე. ოქმებიდან ჩანს, რომ ექვსი კომისიის მიერ წარმოებულია ეკონომიკის ფაკულტეტის ერთსაფეხურიანი და ორსაფეხურიანი სწავლების, კერძოდ, ბაკალავრიატის დღის, საღამოს, დაუსწრებელი სწავლების, საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო განყოფილების სხვადასხვა სპეციალობები.

***<u>პირველი</u>** კომისიის (თავმჯდომარე: კარლო ღურწკაია; წევრები: ელგუჯა მექვაბიშვილი, გიორგი ადეიშვილი, გრიგოლ თოდუა, ბიკენტი გაბიძაშვილი, რევაზ გოგოხია, მურმან ტურავა, ირინა გოგორიშვილი, ომარ ჩადუნელი, ფრიდონ ბურდული) მიერ 1998 წლის 22 მაისს წარმოებულია 5 ოქმი. ყველა ოქმი დათარიღებული და დანომრილია.*

***<u>მეორე</u>** კომისიის (თავმჯდომარე: ვლადიმერ ახალაია; წევრები: ოთარ საღარეიშვილი, პარმენ ლემონჯავა, მირიან ტუხაშვილი, თენგიზ ჭიაბრიშვილი, ნაზი სულავა, გურნაზ ერქომაიშვილი, ეთერ ხარაიშვილი, ჰენრი ყარაშვილი) მიერ 1998 წლის 3 ივნისს წარმოებულია 9 ოქმი. წარმოდგენილ ოქმები უნომროა.*

***<u>მესამე</u>** კომისიის (თავმჯდომარე: შალერი ბენია; წევრები: გივი გამსახურდია, ივანე გიგოშვილი, ცისანა სეხნიაშვილი, შითა ქისტაური, პარმენ ბერიშვილი, თამარ გამსახურდია, ნოდარ ბერძენაძე) მიერ 1998 წლის 4 ივნისს წარმოებულია 8 ოქმი, რომელთაგან ერთი უნომროა.*

***<u>მეოთხე</u>** კომისიის (თავმჯდომარე: მიხეილ ჭკუასელი; წევრები: გივი გამსახურდია, ივანე გიგოშვილი, ცისანა სეხნიაშვილი, ავთანდილ ერგემლიძე, თამარ ციგროშვილი, ლეილა ღუდუშაური, რიმა მამალაძე) მიერ წარმოებულია 7 ოქმი: 1998 წლის 4 ივლისს - 1 ოქმი და 10 ივლისს - 6 ოქმი. ყველა ოქმზე დაფიქსირებულია თარიღი და ნომერი.*

***<u>მეხუთე</u>** კომისიის (თავმჯდომარე: მიხეილ ჯიბუტი; წევრები: ელგუჯა მექვაბიშვილი, გრიგოლ თოდუა, ბიკენტი გაბიძაშვილი, ომარ ჩადუნელი, ამირან ჯიბუტი, გიორგი მაზიაშვილი, ელენე ხარაბაძე, მერაბ აბდალაძე) მიერ 1998 წლის 9 ივლისს წარმოებულია 5 ოქმი. ყველა ოქმზე დაფიქსირებულია თარიღი და ნომერი.*

***<u>მეექვსე</u>** კომისიის (თავმჯდომარის მოადგილე: ოთარ საღარეიშვილი; წევრები: პარმენ ლემონჯავა, იური ანანიაშვილი, თენგიზ ჭიაბრიშვილი, ზურაბ გალდავა, დავით ჯაბიძე,*

ნათელა ლაცაბიძე, ჰენრი ყარაშვილი) მიერ 1998 წლის 13 ივლისს წარმოებულია 7 ოქმი. არცერთი ოქმი არ არის დანომრილი.

როგორც წარმოდგენილი მასალიდან ირკვევა, კომისიების მიერ წარმოებული ოქმების დანომვრა ხდებოდა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად თარიღების მიხედვით. თუ კომისია ერთი და იმავე თარიღით აწარმოებდა რამოდენიმე ოქმს, მაშინ მხედველობაში იღებდნენ სხვა მონაცემებსაც. ამჟამად, ჩვენ განვიხილავთ, მხოლოდ მეექვსე კომისიის მიერ წარმოებულ უნომრო ოქმებს. ჩვენი კომისიის მიერ უნდა მოხდეს ამ უნომრო ოქმებისთვის (გადაწყვეტილებებისთვის) ნომრების მინიჭება და ნომრის პირობითობის აღსანიშნავად ასო „პ“-ს დამატება.

3. ***ეკატერინე ზაურის ასული გაჩეჩილაძე*** *1994 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციის ფაკულტეტის დღის სწავლების ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობაზე (ბრძანება №4/488, 7.08.1994). კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობის 1998 წლის 1 ივლისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წინაშე სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების საფუძველზე დღის განყოფილების კურსდამთავრებულ ეკატერინე გაჩეჩილაძეს მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით, სპეციალობა – ვაჭრობის ეკონომიკა და მარკეტინგი - და მიეცა დიპლომი წარჩინებით (კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №4, 1.07.1998 და თსუ რექტორის ბრძანება №4/535, 8.07.1998). 1998 წელს დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში ბაკალავრის დიპლომი წარჩინებით (ВН №00339, სარეგისტრაციო ნომერი №01/334) რეგისტრირებულია მის სახელზე.*

თსუ არქივში ეკატერინე გაჩეჩილაძის სახელზე ინახება ბაკალავრიატში მისი სწავლის დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტაცია:

- *თსუ-ში ჩაირიცხვის ბრძანება - №4/488, 7.08.1994;*
- *სტუდენტის სასწავლო ბარათი, რომელშიც დაფიქსირებულია სახელმწიფო გამოცდის შეფასება;*
- *სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №4, 1.07.1998 წ.;*
- *თსუ რექტორის ბრძანების ასლი №4/535, 8.07.1998 წ.;*
- *ბაკალავრის დიპლომის დანართის ასლი;*
- *ბაკალავრის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალის ასლი.*

1998 წელს ეკატერინე ზაურის ასლი გაჩეჩილაძე ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის საბიუჯეტო განყოფილების მაგისტრატურაში მარკეტინგის სპეციალობით (ბრძანება №4/786, 28.09.1998).

2000 წელს დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი М№00709, სარეგისტრაციო ნომერი №01/251 რეგისტრირებულია ეკატერინე გაჩეჩილაძის სახელზე. მის სახელზე გაცემული დიპლომიდან დასტურდება,

რომ ‘ეკატერინე გაჩეჩილაძემ 2000 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მაგისტრატურის სრული კურსი სპეციალობით მარკეტინგი და დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი თემაზე: ,,რეკლამა და მისი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა“. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2000 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით ეკატერინე გაჩეჩილაძეს მიენიჭა ,,ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.“

თსუ არქივში ეკატერინე გაჩეჩილაძის სახელზე ინახება მაგისტრატურაში მისი სწავლის დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტაცია:

- *თსუ-ს მაგისტრატურაში ჩარიცხვის ბრძანება - №4/786, 28.09.1998;*
- *მაგისტრანტის სასწავლო გარათი, რომელშიც დაფიქსირებულია სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შეფასება;*
- *მაგისტრის დიპლომისა და დიპლომის დანართის ასლები;*
- *მაგისტრის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალის ასლი.*

2000 წლის 8 მაისიდან 3 დეკემბრის ჩათვლით საუნივერისტეტო ბრძანებებში კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მარკეტინგის სპეციალობაზე ეკატერინე გაჩეჩილაძისთვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ინფორმაცია არ ფიქსირდება. ასევე, არ ფიქსირდება კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის 2000 წლის სახელმწიფო საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმებში ეკატერინე გაჩეჩილაძის გვარი. რაც შეეხება 2000 წლის 14 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელ სხდომის ოქმს, რომლის საფუძველზეც მას მიენიჭა ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და გაიცა დიპლომი, თსუ არქივში და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე არ იძებნება. ოქმის თარიღი დაფიქსირებულია ე. გაჩეჩილაძის სახელზე წარმოებულ დიპლომში და დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში.

საკითხის შესწავლისას გაირკვა შემდეგი: კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2000 წლის 14 ივნისის შემაჯამაბელი სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, არ იძებნება) მარკეტინგის სპეციალობის გარდა, ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი მიენიჭათ საბირჟო საქმის, საერთაშორისო ვაჭრობის ორგანიზაციისა და საქონელმცოდნეობის ეკონომიკის სპეციალობების კურსდამთავრებულებს (აღნიშნული თარიღი დაფიქსირებულია მათ სახელზე გაცემულ მაგისტრის დიპლომსა და დიპლომის გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში), თუმცა, თსუ-ს ბრძანებებში კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ინფორმაცია, ეკატერინე გაჩეჩილაძის მსგავსად ამ სპეციალობების კურსდამთავრებულთათვისაც არ ფიქსირდება.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მოძიებული იქნა ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დეკანის, დოცენტ ი. ადეიშვილის, ბრძანება (უფრო სწორედ, ალბათ, ბრძანების პროექტის შავი პირი), რომელიც სავარაუდოდ საფუძველი იქნებოდა აღნიშნული ფაკულტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების ოქმის შესაქმნელად. ბრძანებაში დაფიქსირებული 14

სპეციალობიდან 5 სპეციალობის (1. გემოვანი პროდუქტების ექსპერტიზა და კომერცია საერთაშორისო ვაჭრობაში; 2. სახამებლის, თაფლის, შაქრისა და საკონდიტრო ნაწარმოს ექსპერტიზა და კომერიცა საერთაშორისო ვაჭრობაში; 3. რძის, რძის ნაწარმის და ცხომების ექსპერტიზა და კომერცია საერთაშორისო ვაჭრობაში; 4. ხორცის, თევზის, კვერცხის და მათი გადამუშავების პროდუქტების ექსპერტიზა და კომერცია საერთაშორისო ვაჭრობაში; 5. მარცვლეულის, ხილ-ბოსტნეულის და მათი გადამუშავების პროდუქტების ექსპერტიზა და კომერცია საერთაშორისო ვაჭრობაში) მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს კვალიფიკაცია მიანიჭეს 2000 წლის 21 ივნისის ოქმი №6-ით (თსუ რექტორის ბრძანება №4/554, 4.07.2000), დანარჩენ 5 სპეციალობისა (1. ანტიკვარული საქონლის ექსპერტიზა და მარკეტინგი საერთაშორისო ვაჭრობაში; 2. სამრეწველო პროდუქციის სასაქონლო ექსპერტიზა და მარკეტინგი საგარეო ვაჭრობაში; 3. სამრეწველო წარმოების და საქონლის მარკეტინგი; 4. სამრეწველო პროდუქციის სტანდარტიზაცია და ხარისხის მართვა; 5. საერთაშორისო მარკეტინგი და საგარეო კომერციული ურთიერთობები) – 2000 წლის 24 ივნისის ოქმი №5-ით (თსუ რექტორის ბრძანება №4/681, 14.07.2000), ხოლო დანარჩენი 4 სპეციალობის (1. საბირჟო საქმე; 2. მარკეტინგი; 3. საერთაშორისო ვაჭრობის ორგანიზაცია; 4. საქონელმცოდნეობის ეკონომიკა) მაგისტრატურის კურსდამთავრებულების თაობაზე კვალიფიკაციის მინიჭების ბრძანება არ იძებნება.

ამასთან აღსანიშნავია, ისიც, რომ ფაკულტეტის მიერ მოძიებულ „ბრძანების პროექტში“ დაშვებულია ტექნიკური უზუსტობები. კერძოდ, კურსდამთავრებულთა გვარები არასწორად არის მითითებული.

*2015 წლის 20 თებერვალს დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შექმნილმა მუდმივმოქმედმა კომისიამ და 27 თებერვალს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭომ განიხილა მსგავსი შემთხვევა ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის საბირჟო საქმის სპეციალობის 2000 წლის მაგისტრატურის კურსდამთავრებულთან (კახაბერ ქაფიანი) დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, 2014 წლის 11 ივლისს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა წერილობით (წერილი №21884/02, 11.07.2014) მიმართა თსუ იურიდიული დეპარტამენტს, რათა **„მოეწოდებინათ დასკვნა არის თუ არა შესაძლებელი ამ საკითხზე მუშაობის დროს აღმოჩენილი დოკუმენტების საფუძველზე 2000 წლის მაგისტრატურის კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭების ოქმის აღდგენა.“***

თსუ იურიდიული დეპარტამენტმა წერილობით აცნობა პასუხი თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენს, რომელშიც აღნიშნავს შემდეგს: ***„კორესპონდენციაში აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტისთვის აუცილებელია, შესაბამისმა ფაკულტეტმა მაგისტრანტის სასწავლო გარათში, რომელშიც დაფიქსირებულია მის მიერ შესასწავლი საგნებისა და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შეფასება, ასევე საქმეში არსებული სხვა დოკუმენებიდან გამომდინარემ იმსჯელოს, თუ რამდენად იძლეოდა ხსენებული დოკუმენტები კურსდამთავრებულისთვის ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესაძლებლობას, რაც მოცემულ შემთხვევაში საქმეში არსებული სხვა მასალებიდან გამომდინარე დაადასტურებდა აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაძლო არსებობას ან არ არსებობას. ... აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ***

ზემოაღნიშნული სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შედეგად.“

აღნიშნული პასუხის შედეგად, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტმა შესაძლებლობის ფარგლებში ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება. კერძოდ, მოიძია და გამოიკვლია დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში მითითებული 2000 წლის 14 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმის საფუძველზე 4 სპეციალობის (1. საბირჟო საქმე; 2. მარკეტინგი; 3. საერთაშორისო ვაჭრობის ორგანიზაცია; 4. საქონელმცოდნეობის ეკონომიკა) კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები და დაადგინა:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მაგისტრატურაში 1998-1999 სასწავლო წელს შესაბამისი რეიტინგული მონაცემების მიხედვით:

* *საბიუჯეტო განყოფილების მარკეტინგის სპეციალობაზე ჩაირიცხნენ დავით ალიმბარაშვილი, ეკატერინე გაჩეჩილაძე, ქეთევან თარალაშვილი, გიორგი იმნაძე და ნიკოლოზ ქართველიშვილი, ხოლო არასაბიუჯეტო განყოფილების მარკეტინგის სპეციალობაზე დავით პაპიაშვილი და კონსტანტინე მიქიაშვილი (თსუ რექტორის ბრძანება №4/786, 28.09.1998 და №4/939, 21.10.1998). დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში და მათ სახელზე გაცემულ დიპლომებში დაფიქსირებული ინფორმაციით 2000 წლის 14 ივნისის სახელმწიფო საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით მაგისტრის ხარისხი მიენიჭათ დავით ალიმბარაშვილს, ეკატერინე გაჩეჩილაძეს, ქეთევან თარალაშვილს, გიორგი იმნაძეს, ნიკოლოზ ქართველიშვილს და კონსტანტინე მიქიაშვილს;*
* *საბიუჯეტო განყოფილების საბირჟო საქმის სპეციალობაზე ჩაირიცხნენ კახაბერ ქაფიანი და ირაკლი კასრაძე (თსუ რექტორის ბრძანება #4/786, 28.09.1998). დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში და მათ სახელზე გაცემულ დიპლომებში დაფიქსირებული ინფორმაციით მაგისტრის ხარისხი მიენიჭათ 2000 წლის 14 ივნისის სახელმწიფო საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით;*
* *საბიუჯეტო განყოფილების საერთაშორისო ვაჭრობის ორგანიზაციის სპეციალობაზე ჩაირიცხნენ ნინო დათუკიშვილი, გიორგი კუბლაშვილი, ეკატერინე მალაზონია და მარიამ ონიანი (თსუ რექტორის ბრძანება #4/786, 28.09.1998). დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში და მათ სახელზე გაცემულ დიპლომებში დაფიქსირებული ინფორმაციით 2000 წლის 14 ივნისის სახელმწიფო საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით მაგისტრის ხარისხი მიენიჭათ ნინო დათუკიშვილს და გიორგი კუბლაშვილს;*
* *საბიუჯეტო განყოფილების საქონელმცოდნეობის ეკონომიკის სპეციალობაზე ჩაირიცხნენ ლია ბედოიძე, ზურაბ გიორგაძე, პეტრე როყვა და ზურაბ შინჯიაშვილი (თსუ რექტორის ბრძანება #4/786, 28.09.1998). დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში და მათ სახელზე გაცემულ დიპლომებში დაფიქსირებული ინფორმაციით მაგისტრის*

ხარისხი მიენიჭათ 2000 წლის 14 ივნისის სახელმწიფო საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით.

*საარქივო მასალებიდან წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დასტურდება ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მარკეტინგის სპეციალობის 2000 წლის მაგისტრატურის კურსდამთავრებულ ეკატერინე გაჩეჩილაძის სწავლის ფაქტი. არ იძებნება 2000 წლის 14 ივნისის საატესტაციო კომისიის მიერ წარმოებული შემაჯამებელი სხდომის ოქმი და თსუ რექტორის ბრძანება, რომელიც გამოიცა აღნიშნული ოქმის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია ხარისხის/კვალიფიკაცის მინიჭების გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს ე. გაჩეჩილაძის დიპლომში მითითებული თარიღი 2000 წლის 14 ივნისი, ხოლო ნომრად 15 და პირობითობის აღსანიშნავად დაემატოს ასო '**პ**'.*

4. ***ვალერი ნაროუშვილი*** *2000 წლის 30 აგვისტოს №4 ბრძანებით მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა თსუ ფოთის ფილიალში ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის I კურსზე (ბრძანება №4, 30.08.2000).*

   2002 წელს საზაფხულო სესიების მონაწილეობის საფუძველზე თსუ ფოთის ფილიალის სტუდენტი მარლენი ნაროუშვილი გადაყვანილი იქნა საბაჟო საქმიანობის სპეციალობის III კურსზე (ბრძანება №6, 28.06.2002 წ.), ხოლო 2003 წელს ფილიალის სამეცნიერო საბჭოს ოქმი #6 გადაწყვეტილების საფუძველზე - საბაჟო საქმიანობის სპეციალობის IV კურსზე (ბრძანება №10, 27.06.2003).

   სახელმწიფო საატესტაციო გამოცდების შედეგების საფუძველზე ბაკალავრის კვალიფიკაცია მიენიჭა თსუ ფოთის ფილიალის საბაჟო საქმიანობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულ მარლენ ნაროუშვილს (ბრძანება №14, 12.07.2004 წ.).

   თსუ ფოთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის 2004 წლის კურსდამთავრებულთა პირადი საქმეების ჩანაწერებში მარლენ ნაროუშვილის სახელი არ ფიქსირდება. ხოლო პირადი საქმე №71 ფიქსირდება ვალერი ნაროუშვილის სახელზე. თსუ ფოთის ფილიალის 2002-2004 წლების ბრძანებებში ეკონომიკის ფაკულტეტზე ვალერი ნაროუშვილის შესახებ ინფორმაცია არ ფიქსირდება.

   2004 წელს თსუ ფოთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულ მარლენ ნაროუშვილს მიენიჭა ბაკალავრის კვალიფიკაცია საბაჟო საქმიანობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობით, ასევე ფოთის ფილიალის 2002-2007 წლების დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი (PB№00111, სარეგისტრაციო №1/03) რეგისტრირებულია მარლენ ნაროუშვილის სახელზე. 2002-2007 წლების დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში ვალერი ნაროუშვილის სახელზე დიპლომი რეგისტრირებული არ არის. ასევე, არ ფიქსირდება ბრძანებებში ვალერი ნაროუშვილის სახელზე ხარისხის მინიჭების შესახებ ინფორმაცია.

თსუ არქივიდან მოწოდებული დოკუმენტებით, კერძოდ, კურსიდან კურსზე გადაყვანისა და ხარისხის მინიჭების ბრძანებებში, ასევე, დიპლომის გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში ვალერი ნაროუშვილის ნაცვლად შეცდომით ფიქსირდება მარლენ ნაროუშვილი. თუმცა, დიპლომი (PB№00111, სარეგისტრაციო №1/03) გაცემულია ვალერი ნაროუშვილის სახელზე. საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ მის პირად საქმეში არსებულ სხვადასხვა დოკუმენტებში ვალერი ნაროუშვილის სახელი ფიქსირდება შეცდომით. თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის 2004 წლის კურსდამთავრებულ ვალერი ნაროუშვილის სახელზე უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ (შექმნილ) ოფიციალურ დოკუმენტებში სახელი ნაცვლად ,,ვალერი" მითითებულია შეცდომით ,,მარლენი."

თსუ საარქივო ცნობებით (№385/01-10-40, 06.04.2015, №4365/02, 16.02.2015) სტუდენტის იდენტურობის დადგენის მიზნით ჩატარებული საქმისწარმობისას დადგინდა, რომ ვალერი ნაროუშვილი და მარლენ ნაროუშვილი – ერთი და იგივე პიროვნებაა. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ ბრძანებებში და ყველა ოფიციალურ დოკუმენტში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა და მარლენ ნაროუშვილის ნაცვლად უნდა მიეთითოს ვალერი ნაროუშვილი. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი იქნა პირადობის მოწმობა (№ა 1226523, №42001006095) და დაბადების მოწმობა (ნკ №809751, 21.07.2008). შესაბამისად ცვლილება უნდა შევიდეს ყველა ოფიციალურ დოკუმენტში და ვალერი ნაროუშვილი მიჩნეული უნდა იქნას ამ დოკუმენტებით მოწესრიგებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილედ და ვალერი ნაროუშვილის სახელზე უნდა გაიცეს ახალი დიპლომი.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2015 წლის 22 აპრილის №540/01-04 ბრძანებით გაუქმებულად გამოცხადდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის ყოფილი ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის 2004 წლის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულ ვალერი ნაროუშვილის სახელზე გაცემული ბაკალავრის დიპლომიPB№00111 (სარეგისტრაციო №1/03), ტექნიკური შეცდომის გამო. `შევიდეს ცვლილება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის ყოფილი ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის 2004 წლის კურსდამთავრებულ მარლენ ნაროუშვილის სახელზე უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ (შექმნილ) ყველა ოფიციალურ დოკუმენტში სახელში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გამო და მარლენ ნაროუშვილის მიმართ უნივერსიტეტის მიერ გამოცემული (შექმნილი) ყველა არსებული ოფიციალური დოკუმენტი გამოცემულად ჩაითვალოს ვალერი ნაროუშვლის მიმართ და ვალერი ნაროუშვილი მიჩნეულ იქნეს ამ დოკუმენტებით მოწესრიგებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილედ.~

ვალერი ნაროუშვილის პირად საქმეში არსებული დოკუმეტაციიდან დასტურდება მისი სწავლისა და ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების ფაქტი. საქმის გარემოებიდან გამომდინარე, რადგან არ იძებნება თსუ-ს ყოფილი ფოთის ფილიალის საბაჟო საქმიანობის ეკონომიკისა და მართვის

სპეციალობის 2004 წლის კურსდამთავრებულთათვის ბაკალავრის ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები, მიზანშეწონილია აღდგენილად ჩაითვალოს აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე თსუ ყოფილი ფოთის ფილიალის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია. ასევე, გადაწყვეტილების თარიღად პირობითად განისაზღვროს თსუ ყოფილი ფოთის ფილიალის დირექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად ამავე ფილიალის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ".

5. ***ლევან ჭითანავა** 2000 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის არასაბიუჯეტო განყოფილების დასწრებული სწავლების საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობაზე (ბრძანება №4/752, 26.08.2000).*

ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი უნომროა) გადაწყვეტილებით არასაბიუჯეტო განყოფილების დასწრებული სწავლების საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის 2004 წლის კურსდამთავრებულ ლევან ჭითანავას მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი (ბრძანება №4/839, 15.07.2004).

თსუ არქივიდან წარმოდგენილი საარქივო მასალიდან ჩანს, რომ 2004 წელს ეკონომიკის ფაკულტეტზე წარმოებულია 28 ოქმი. აღნიშნულ წელს ეკონომიკის ფაკულტეტზე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის სხვა ოქმები არ იძებნება. ყველა ოქმზე მითითებულია თარიღი, მაგრამ ნომერი მინიჭებული აქვს მხოლოდ 15 ოქმს. წამოდგენილი ოქმებიდან ჩანს, რომ ეკონომიკის ფაკულტეტზე 2004 წელს მოქმედებდა სამი კომისია, რომელთა მიერ წარმოებულია ეკონომიკის ფაკულტეტის საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო განყოფილების დღის და დაუსწრებელი სწავლების სხვადასხვა სპეციალობები.

***<u>პირველი</u>** კომისიის (თავმჯდომარე: თემურ ბერიძე; წევრები: ელგუჯა მექვაბიშვილი, როინ ქუტიძე, რევაზ გოგოხია, ბიკენტი გაბიძაშვილი, ავთანდილ სილაგაძე, ლარისა ყორღანაშვილი, მერაბ აბდალაძე, თენგიზ ჭიაბრიშვილი, ვლადიმერ პაპავა, ნინო აბესაძე) მიერ 2004 წლის 5 ივლისს წარმოებულია 8 ოქმი, რომელთაგან მხოლოდ 3 ოქმს აქვს ნომერი მინიჭებული (№1, №2, №3) და 16 სექტემბერს - 1 ოქმი (№1). წარმოდგენილი 9 ოქმიდან ნომერი მინიჭებული აქვს მხოლოდ 4 ოქმს.*

***<u>მეორე</u>** კომისიის (თავმჯდომარე: შალერი ბენია; წევრები: გივი გამსახურდია, ელგუჯა მექვაბიშვილი, ცისანა სეხნიაშვილი, ივნე გიგოშვილი, თამარ გამსახურდია, ნატო კაკაშვილი, ნოდარ ბერძენაძე, პარმენ ლემონჯავა, პარმენ ბერიშვილი, ლელა ღუდუშაური) მიერ 2004 წლის 14 ივნისს წარმოებულია 2 ოქმი, 15 ივნისს – 1 ოქმი (№2), 16 ივნისს – 1 ოქმი, 17 ივნისს – 2 ოქმი (№2 და №3), 18-19*

ივნისს 1 ოქმი (№1), 21 ივნისს – 1 ოქმი (№2) და 22 ივნისს – 3 ოქმი (№3, №4, №5). წარმოდგენილი 11 ოქმიდან 3 ოქმი უნომროა.

<u>მესამე</u> *კომისიის (თავმჯდომარე: ნათია თურნავა; წევრები: მირიან ტუხაშვილი, ელგუჯა მექვაბიშვილი, ჰენრი ყარაშვილი, ოთარ სადარეიშვილი, ამირან ჯიბუტი, გულნაზ ერქომაიშვილი, თამარ ჩადუნელი, გურამ ბურდული, დავით ჯაბიძე) მიერ 2004 წლის 14 ივნისს წარმოებულია 2 ოქმი, 15 ივნისს – 1 ოქმი, 16 ივნისს – 1 ოქმი (№3), 18 ივნისს – 1 ოქმი, 19 ივნისს – 2 ოქმი (№4, №5) და 19 ივლისს – 1 ოქმი. წარმოდგენილი 8 ოქმიდან უნომრო არის 5 ოქმი.*

*როგორც წარმოდგენილი მასალიდან ირკვევა, თითოეული კომისიის მიერ წარმოებული ოქმების დანომვრა ხდებოდა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად თარიღების მიხედვით. თუ კომისია ერთი და იმავე თარიღით აწარმოებდა რამოდენიმე ოქმს, მაშინ მხედველობაში იღებდნენ სხვა მონაცემებსაც. ამჟამად, ჩვენ განვიხილავთ, მხოლოდ პირველი კომისიის მიერ წარმოებულ უნომრო ოქმებს. კომისიის მიერ უნდა მოხდეს ამ უნომრო ოქმებისთვის (გადაწყვეტილებებისთვის) ნომრების მინიჭება და ნომრის პირობითობის აღსანიშნავად ასო **„პ“**-ს დამატება.*

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 22
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს:

1.1. აღდგენილად ჩაითვალოს 1992 წელს თსუ ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ მრეწველობის დაგეგმვის (დღე, საღამო, დაუსწრებელი) და სოფლის მეურნეობის დაგეგმვის (დღე, დაუსწრებელი) სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ***დღის განყოფილების მრეწველობის დაგეგმვის სპეციალობის*** კურსდამთავრებულთათვის `ეკონომისტის~ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1992 წლის 14 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1992 წლის 14 ივნისი*** და ნომრად ***#1/3;***
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ***დღის განყოფილების მრეწველობის დაგეგმვის სპეციალობის*** კურსდამთავრებულთათვის `ეკონომისტის~ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1992 წლის 15 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1992 წლის 15 ივნისი*** და ნომრად ***#2/3;***

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ***დღის განყოფილების სოფლის მეურნეობის დაგეგმვის სპეციალობის*** კურსდამთავრებულთათვის `ეკონომისტის~ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1992 წლის 18 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1992 წლის 18 ივნისი*** და ნომრად ***#3/3;***
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ***დაუსწრებელი განყოფილების მრეწველობის დაგეგმვის სპეციალობის*** კურსდამთავრებულთათვის `ეკონომისტის~ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1992 წლის 19 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1992 წლის 19 ივნისი*** და ნომრად ***#4/3;***
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ***დაუსწრებელი განყოფილების სოფლის მეურნეობის დაგეგმვის სპეციალობის*** კურსდამთავრებულთათვის *(მ.შ. ოთარ ყავრელიშვილი)* ,,ეკონომისტის" კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1992 წლის 22 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1992 წლის 22 ივნისი*** და ნომრად ***#5/3;***
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ***საღამო განყოფილების მრეწველობის დაგეგმვის სპეციალობის*** კურსდამთავრებულთათვის `ეკონომისტის~ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1992 წლის 23 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1992 წლის 23 ივნისი*** და ნომრად ***#6/3.***

1.2. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს 1992 წლის 14, 15, 18, 19, 22 და 23 ივნისს ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცო კომისიის *(თავმჯდომარე: ვ.რ. ახალაია; წევრები: ო.ნ. საღარეიშვილი, მ.ვ. გოცირიძე, ი.ი. გიგოშვილი, ჰ.შ. ყარაშვილი)* სხდომის ოქმებში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულებზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში *(იხ. 1992 წლის 14, 15, 18, 19, 22 და 23 ივლისის ეკონომიკის ფაკულტეტის №4 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები)*.

2.1. აღდგენილად ჩაითვალოს თსუ-ს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის (დღე), წარმოების ეკონომიკა და მართვა მრეწველობაში (დღე - ფასიანი და უფასო), წარმოების ეკონომიკა და მართვა აგროსამრეწველო კომპლექსში (დღე), შრომის ეკონომიკის (დღე) და ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის (დღე) სპეციალობებში 1998 წლის 13 ივლისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ***დღის სწავლების მაკროეკონომიკის სპეციალობის*** კურსდამთავრებულთათვის *(მ.შ. თეიმურ გარაევი)* ,,ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის" მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 13 ივლისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის

შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 13 ივლისი*** და ნომრად ***#1/3;***

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ***დღის სწავლების მაკროეკონომიკის (სპეც. ჯგუფი) სპეციალობის*** კურსდამთავრებულთათვის `ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის~ მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 13 ივლისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 13 ივლისი*** და ნომრად ***#2/3;***
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ***დღის სწავლების წარმოების ეკონომიკა და მართვა მრეწველობაში სპეციალობის*** კურსდამთავრებულთათვის `ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის~ მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 13 ივლისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 13 ივლისი*** და ნომრად ***#3/3;***
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ***დღის სწავლების ფასიანი განყოფილების წარმოების ეკონომიკა და მართვა მრეწველობაში სპეციალობის*** კურსდამთავრებულთათვის ,,ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“ მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 13 ივლისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 13 ივლისი*** და ნომრად ***#4/3;***
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების წარმოების ეკონომიკა და მართვა აგროსამრეწველო კომპლექსში სპეციალობის კურსდამთავრებულ-თათვის `ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის~ მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 13 ივლისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 13 ივლისი*** და ნომრად ***#5/3;***
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების შრომის ეკონომიკის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის `ეკონომიკის ბაკალავრის აკადემი-ური ხარისხის~ მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 13 ივლისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 13 ივლისი*** და ნომრად ***#6/3;***
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ,,ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“ მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1998 წლის 13 ივლისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1998 წლის 13 ივლისი*** და ნომრად ***#7/3.***

2.2. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის (დღე), წარმოების ეკონომიკა და მართვა მრეწველობაში (დღე - ფასიანი და უფასო), წარმოების ეკონომიკა და მართვა აგროსამრეწველო კომპლექსში (დღე), შრომის ეკონომიკის (დღე) და ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის (დღე) სპეციალობებში 1998 წლის 13 ივლისს წარმოებულ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელ სხდომის ოქმებში მითითებულ

ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში *(იხ. ეკონომიკის ფაკულტეტის 1998 წლის 13 ივლისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმები)*.

3. აღდგენილად ჩაითვალოს 2000 წელს ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მაგისტრატურაში მარკეტინგის სპეციალობის კურსდამთავრებულ ***ეკატერინე გაჩეჩილაძის*** ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილებაში არსებული ინფორმაცია და ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მარკეტინგის სპეციალობის 2000 წლის 14 ივნისის სახელმწიფო საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს დიპლომში მითითებული თარიღი ***2000 წლის 14 ივნისი*** და ნომრად ***#15/3.***

4. აღდგენილად ჩაითვალოს თსუ ყოფილი ფოთის ფილიალის საბაჟო საქმიანობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის 2004 წლის კურსდამთავრებულთათვის *(მ.შ. ვალერი ნაროუშვილი)* ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და თსუ ყოფილი ფოთის ფილიალის საბაჟო საქმიანობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის 2004 წლის კურსდამთავრებულ ვალერი ნაროუშვილის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს ***2004 წლის 12 ივლისი***, ხოლო ნომრად ***#14/3.***

5.1. აღდგენილად ჩაითვალოს 2004 წელს თსუ ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ სტატისტიკის (საბიუჯეტო განყოფილება), მაკროეკონომიკის (საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო განყოფილება) და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების (საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო განყოფილება) სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორამაცია, ხოლო მისი რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ***საბიუჯეტო განყოფილების სტატისტიკის სპეციალობის*** კურსდამთავრებულთათვის ,,ეკონომისტის“ კვალიფიკაციით ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2004 წლის 5 ივლისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2004 წლის 5 ივლისი*** და ნომრად ***#4/3;***
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ***საბიუჯეტო განყოფილების მაკროეკონომიკის სპეციალობის*** კურსდამთავრებულთათვის ,,ეკონომისტის“ კვალიფიკაციით ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2004 წლის 5 ივლისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2004 წლის 5 ივლისი*** და ნომრად ***#5/3;***

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ***არასაბიუჯეტო განყოფილების მაკროეკონომიკის სპეციალობის*** კურსდამთავრებულთათვის ,,ეკონომისტის“ კვალიფიკაციით ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2004 წლის 5 ივლისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2004 წლის 5 ივლისი*** და ნომრად ***#6/ბ;***
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ***საბიუჯეტო განყოფილების საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის*** კურსდამთავრებულთათვის ,,ეკონომისტის“ კვალიფიკაციით ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2004 წლის 5 ივლისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2004 წლის 5 ივლისი*** და ნომრად ***#7/ბ;***
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ***არასაბიუჯეტო განყოფილების საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის*** კურსდამთავრებულთათვის *(მ.შ. ლევან ჭითანავა)* ,,ეკონომისტის“ კვალიფიკაციით ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2004 წლის 5 ივლისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2004 წლის 5 ივლისი*** და ნომრად ***#8/ბ.***

5.2. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის პირველი კომისიის *(თავმჯდომარე: თემურ ბერიძე; წევრები: ელგუჯა მექვაბიშვილი, როინ ქუტიძე, რევაზ გოგოხია, ბიკენტი გაბიძაშვილი, ავთანდილ სილაგაძე, ლარისა ყორღანაშვილი, ბერაგ აბდალაძე, თენგიზ ჭიაბრიშვილი, ვლადიმერ პაპავა, ნინო აბესაძე)* მიერ 2004 წლის 5 ივლისს წარმოებულ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმებში *(იხ. ეკონომიკის ფაკულტეტის სტატისტიკის (საბიუჯეტო განყოფილება), მაკროეკონომიკის (საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო განყოფლება), და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების (საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო განყოფილება) სპეციალობებში 2004 წლის 5 ივლისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმები)* მითითებულ ყველა კურსდამთავრელბულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე კურსდამთავრებულთათვის ხარისხების მინიჭების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

მომხსენებელმა ი. ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ,,საერთაშორისო საწარმოთა მართვა“ კოორდინატორის ლ. ტაბატაძის განცხადება (# 3216/29, 06.05.2015). მასში აღნიშნულია, რომ თსუ და

ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ,,საერთაშორისო საწარმოთა მართვის“ მაგისტრანტმა, თეონა შუღლიაშვილმა გაიარა პროგრამით გათვალისწინებული ყველა საგანი (კომპონენტი) და დააგროვა 125 კრედიტი, რის საფუძველზეც ფაკულტეტის საბჭოს წინაშე ის აყენებს საკითხს: მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი თსუ და ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ,,საერთაშორისო საწარმოთა მართვის“ მაგისტრანტს, თეონა შუღლიაშვილს.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ნ. თოდუამ, ასოც. პროფ. ჩ. ჯაშმა

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 28
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი თსუ და ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ,,საერთაშორისო საწარმოთა მართვის“ კურსდამთავრებულს თეონა შუღლიაშვილს.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე კურსდამთავრებულთათვის ხარისხის კორექტირების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

ი. ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში შეტანილი იყო წინა საბჭოს სხდომაზე, მაგრამ გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული. საფუძველი იყო თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ქ-ნი ი. მშვენიერაძის სამსახურეობრივი ბარათი (#2953/29, 21.04.2015), სადაც აღნიშნულია, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოვიდა წერილი (#12367/02, 02.04.2015), რომლითაც სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტატიტიკის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულის სოფიო ბუთხუზის დიპლომის დანართი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ სოფიკო ბუთხუზი 2003 წელს მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების საბიუჯეტო განყოფილების სტატისტიკის სპეციალობაზე (ბრძანება #4/852, 2.08.2003).

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს შესაბამისის აკადემიური ხარისხის მინიჭებისადა დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2008 წლის 4 აპრილის #531/01-04 ბრძანებით სოფიო ბუთხუზს მიენიჭა მეცნიერების ბკალავრის აკადემიური ხარისხი სტატისტიკოსის კვალიფიკაციით (ბრძანება #531/01-04, 04.04.2008).

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის თაობაზე რექტორის #531/01-04 ბრძანებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ თსუ რექტორის 2008 წლის 19 ნოემბრის #1916/01-04 ბრძანებით სტატისტიკის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ სოფიკო ბუთხუზს, ნაცვლად სოფიო ბუთხუზისა მიენიჭა მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სტატისტიკოსის კვალიფიკაციით.

სოფიკო ბუთხუზის დიპლომში მითითებული კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის #633 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას.

ასოც. პროფ. ი. ნაცვლიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტატისტიკის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ სოფიკო ბუთხუზის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შეცვლასთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის #633 ბრძანების შესაბამისად. მოქმედი კანომდებლოის მიხედვით არასწორად აქვს მინიჭებული ხარისხი და მას უნდა მიენიჭოს ,,მათემატიკის ბაკალავრის" ხარისხი.

ასოც. პროფ. ი. ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საბჭო უარს ამბობს ,,მათემატიკის ბაკალავრის" ხარისხის მინიჭებაზე და ეს სწორია, თუმცა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ამ საკითხის დასაზუსტებლად კიდევ ერთხელ მიმართა თსუ იურიდიულ სამსახურს და პასუხია, რომ ეს შესაბამისობაში უნდა მოვიდეს #633 ბრძანებასთან. მან საბჭოს წევრებს გააცნო თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსის ა. კუკულავას წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ სოფიკო ბუთხუზისთვის მიზანშეწონილია აღნიშნული ხარისხის მინიჭება და ამ საკითხთან დაკავშირებით ფაკულტეტის საბჭომ უნდა იმსჯელოს ათვისებული სასწავლო კურსების გათვალისწინებით.

ი. ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სასწავლო დეპარტამენტიდან გამოითხოვა სოფიკო ბუთხუზის მიერ ათვისებული სასწავლო კურსების ჩამონათვალი. რადგან იურიდიული დეპარტამენტი იღებს პასუხისმგებლობას და გვაძლევს რეკომენდაციას, რომ ჩვენ შინაარსის მიხედვით განვსაზღვროთ ეს საკითხი.

აზრი გამოთქვეს:

საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი თ. ბერიძე – მან აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი კიდევ ერთხელ მოითხოვს შესწავლას და დამატებით კონსულტაციებს, რის საფუძველზეც საბჭოს წინაშე აღნიშნული საკითხი ვერ დადგება კენჭისყრაზე და ის, კიდევ ერთხელ, ხსნის აღნიშნულ საკითხს დღის წესრიგიდან.

პროფ. ს. გელაშვილი – მან აღნიშნა, რომ ლოგიკას თუ მივყებით, სოფიკო ბუთხუზი ოთხი წელი სწავლობდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე და ამ ფაკულტეტის საბჭოს არ აქვს უფლება მიანოჭოს ,,მათემატიკის ბაკალავრის" აკადემიური ხარისხი. სტატისტიკა ჩაჯდა კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოში როგორც დისციპლინალური დარგი.

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

მოისმინეს: თსუ ქუთაისის სასწავლო ცენტრის პროფესიული საგანმანათლელო პროგრამების ,,აგროლოჯისტიკის ოპერატორი" (მე–4 და მე–5 საფეხური) დამტკიცების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

მომხსენებელმა ი. ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია პროფესიული საგანმანათლელო პროგრამების ,,აგროლოჯისტიკის ოპერატორი" პროგრამების ერთ ერთი ხელმძღვანელის, ე. ჩოხელის განცხადება (№3377/29, 21.05.2105), სადაც აღნიშნულია, რომ წარმოდგენილია ქუთაისის სასწავლო ცენტრის ,,აგროლოჯისტიკის ოპერატორი" (მე–4 და მე–5 საფეხური) პროფესიული საგანმანათლელო პროგრამების გადამუშავებული ვარიანტი. ეს არის გადამუშავებული და დაზუსტებული პროგრამების მე-3 ვარიანტი და მიღებულია თანხმობა თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიდან, რის საფუძველზეც ფაკულტეტის საბჭოს წინაშე ის აყენებს საკითხს: დამტკიცდეს თსუ ქუთაისის სასწავლო ცენტრის პროფესიული საგანმანათლელო პროგრამების ,,აგროლოჯისტიკის ოპერატორი" (მე–4 და მე–5 საფეხური) გადამუშავებული ვარიანტები.

აზრი გამოთქვეს: ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. თ. ბერიძემ

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 28
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს თსუ ქუთაისის სასწავლო ცენტრის პროფესიული საგანმანათლელო პროგრამების „აგროლოჯისტიკის ოპერატორი“ (მე–4 საფეხური) და „აგროლოჯისტიკის ოპერატორი“ (მე–5 საფეხური) წარმოდგენილი ვარიანტები.
2. ეთხოვოს თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს თსუ აკადემიური საბჭოს წინაშე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის შუამდგომლობის გაწევა.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სადოქტორო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის დამტკიცების შესახებ

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მ. ლობჟანიძე/

ქ–მა მ. ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით წარმოდგენილია სადოქტორო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის კვოტები: ეკონომიკის მიმართულება - 20 ადგილი; ბიზნესის ადმინისტრირება - 28 ადგილი; ტურიზმის მიმართულება- 3 ადგილი.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ნ. თოდუამ, პროფ. თ. შენგელიამ, ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილმა

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 28;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სადოქტორო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის კვოტები დამტკიცდეს შემდეგნაირად: ეკონომიკის მიმართულება - 20 ადგილი; ბიზნესის ადმინისტრირება - 28 ადგილი; ტურიზმის მიმართულება- 3 ადგილი.

მოისმინეს: *თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის ინეზა ვაწაძის სწავლის საფასურის შეღავათის შესახებ.*

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მ. ლობჟანიძე/

ქ–მა მ. ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ შემოსულია თსუ ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის ინეზა ვაწაძის (ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის მდივან-რეფერენტი) განცხადება, რომელშიც ის ითხოვს მე-6 სემესტრიდან სწავლის საფასურის შეღავათი განესაზღვროს წლიური სწავლის საფასურის 50%–ით (ფაკულტეტის სამეცნიერო საჭოს გადაწყვეტილების ოქმი #8, 19.11.2010 შესაბამისად).

აზრი გამოთქვეს: ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილმა

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 28;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: ინეზა ვაწაძეს, როგორც ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის პერსონალ–დოქტორანტს განესაზღვრათ შეღავათი სწავლის საფასურის 50% ოდენობით.

მოისმინეს: პროფესორ მირიან ტუხაშვილისთვის ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედლის მინიჭების შესახებ.

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი თ. ბერიძე/

ფაკულტეტის დეკანმა ხაზი გაუსვა პროფესორ მ. ტუხაშვილის დიდ ღვაწლს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წინაშე სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის თვალსაზრისით და საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი პროფესორ მირიან ტუხაშვილისთვის ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედლის მინიჭების შესახებ.

აღნიშნულ საკითხან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 28;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს:

1. მიენიჭოს პროფესორ მირიან ტუხაშვილს ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედალი.
2. ეთხოვოს თსუ აკადემიური საბჭოს შუამდგომლობა აღნიშნული საკითხის დასამტკიცებლად.

მოისმინეს: პროფესორ რევაზ გველესიანისთვის ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედლის მინიჭების შესახებ.

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი თ. ბერიძე/

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა ხაზი გაუსვა პროფესორ რ. გველესიანის დიდ ღვაწლს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წინაშე სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის თვალსაზრისით და საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი პროფესორ რევაზ გველესიანისთვის ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედლის მინიჭების შესახებ.

აღნიშნულ საკითხან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 28;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს:

1. მიენიჭოს პროფესორ რევაზ გველესიანს ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედალი.
2. ეთხოვოს თსუ აკადემიური საბჭოს შუამდგომლობა აღნიშნული საკითხის დასამტკიცებლად.

მოისმინეს: საქართველოს ბიზნესის განვითარების ცენტრის ,,კავკასია“ დირექტორის ბ-ი სერგო ბარამიძის ინფორმაცია.

ბ-მა ს. ბარამიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ცენტრის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია და აღნიშნა, რომ ცენტრის ოფისი ამჟამად მდებარეობთ თსუ მაღლივი კორპუსის მე-13 სართულზე და მისი მიზანია მაქსიმალურად ჩართოს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებელები ცენტრის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროექტებში. სტუდენტებს ეძლევათ საშუალება სტაჟირება გაიარონ როგორც საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხრიდან დაფინანსებულ პროექტებში, ასევე კერძო ორგანიზაციების მხრიდან მიღებულ დაკვეთილ პროექტებში (საკონსულტაციო საქმიანობა). პროექტში ჩართული სტუდენტების 50% არის თსუ სტუდენტი, ხოლო დანარჩენი 50%-სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან. საქართველოს ბიზნესის განვითარების ცენტრს ,,კავკასიას“ აქვს შვილობილი ორგანიზაციები ახალციხეში და ბათუმში.

ბ-მა ს. ბარამიძემ საბჭოს წევრებს მოუწოდა ჩართონ სტუდენტები აღნიშნული ცენტრის მიერ განხორციელებულ პროექტებში და თავადაც მიიღონ მონაწილეობა. სტუდენტები, როგორც სტაჟიორები, წახალისების მიზნით მიიღებენ დაფინანსებას. ცენტრის ორგანიზებით ასევე ტარდება სხვადასხვა ტრეინინგები და პროფესორებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა აღნიშნულ აქტივობებში და მიიღონ დამატებითი შემოსავლები.

ბ-მა ს. ბარამიძემ ისაუბრა მიმდინარე პროექტების შესახებაც.

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტოს
საბჭოს თავმჯდომარე თ. ბერიძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს სწავლული მდივანი მ. ნაცვალაძე